



3044/3-79/22 2 04042022

3044/3-79/22
04-04-2022

ხულოს მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ ვახტანგ ბერიძეს

ბატონო ვახტანგ,

2022 წლის 29 მარტს, ხულოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოთარ ჭელიძის, რ. ქათამაძის, მ. ბერიძისა და სხვებისგან მივიღე წერილობითი თხოვნა იმის შესახებ, რომ ღორჯომის თემის ცენტრალურ მეჩეთამდე, ღორჯომის სხვა და სხვა სოფლიდან მლოცველების ტრანსპორტირებისთვის, კვირაში ერთხელ - პარასკეობით, გამოიყოს შესაბამისი სატრანსპორტო საშუალება. ამ თხოვნის მიზეზად მოქალაქეები ასახელებენ ღორჯომის ცენტრალურ მეჩეთამდე ღორჯომის თემის სხვა და სხვა სოფლის დიდ დაშორებას.

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის საფუძველზე, გთხოვთ გამცეთ წერილობითი პასუხი შემდეგ კითხვებზე:

1. მოუმართავთ თუ არა აქამდე ღორჯომის ან რომელიმე სხვა თემში მცხოვრებ მოქალაქეებს მსგავსი თხოვნით და მოახდინეთ თუ არა რაიმე ტიპის რეაგირება?
2. გაწეული არის თუ არა, ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, რაიმე სახის დახმარება რომელიმე რელიგიურ ორგანიზაციაზე, ან უშუალოდ რომელიმე სამლოცველოს ან რელიგიური დანიშნულების სხვა ობიექტისთვის, თანხა. მატერიალური ან არამატერიალური დახმარება.
3. გთხოვთ ასევე მაცნობოთ, გეგმავთ თუ არა მოახდინოთ რეაგირება აღნიშნულ მოთხოვნაზე და უზრუნველყოფს თუ არა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული მოქალაქეებს მომართვაში მითითებული მიზნებისთვის ტრანსპორტით?

მოქალაქეების მიერ ჩემთვის გამოგზავნილ წერილობით თხოვნას გიგზავნით დანართის სახით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ტარიელ ნაკაიძე



წერილის ნომერი: 98-9822103187
თარიღი: 13/04/2022
პინი: 3266

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი
მისამართი: ქ. თბილისი რუსთაველის გამზ.#8

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

საქართველოს პარლამენტის წევრს ტარიელ ნაკაიძეს

ბატონო ტარიელ,

თქვენი 2022 წლის 04 აპრილის N02-9822094272-98 წერილის პასუხად გიგზავნით პუნქტობრივად შემდეგ ინფორმაციას:

1. მოუმართავთ თუ არა აქამდე ღორჯომის ან რომელიმე სხვა თემში მცხოვრებ მოქალაქეებს მსგავსი თხოვნით და მოახდინეთ თუ არა რაიმე ტიპის რეაგირება.

-ხულოს მუნიციპალიტეტის მერიაში დღემდე მსგავსი თხოვნით არავის მოუმართავს;

2. გაწეული არის თუ არა, ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, რაიმე სახის დახმარება რომელიმე რელიგიურ ორგანიზაციაზე, ან უშუალოდ რომელიმე სამლოცველოს ან რელიგიური დანიშნულების სხვა ობიექტისთვის, თანხა. მატერიალური ან არამატერიალური დახმარება.

- ხულოს მუნიციპალიტეტის მერიაში დღემდე არცერთ რელიგიურ ორგანიზაციაზე არ გაწეულა მატერიალური დახმარება;

3. გთხოვთ ასევე მაცნობოთ, გეგმავთ თუ არა მოახდინოთ რეაგირება აღნიშნულ მოთხოვნაზე და უზრუნველყოფს თუ არა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული მოქალაქეებს მომართვაში მითითებული მიზნებისთვის ტრანსპორტით.

- 2022 წლის ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული მსგავსი მომსახურებისთვის თანხები;

ვახტანგ ბერიძე

ხულოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

